

501
1978

სსრ კავშირის სოციალური ეტანდების სამინისტრო
МИНИСТЕРСТВО СЕЛЬСКОГО ХОЗЯЙСТВА СССР

შრომის წითელი ღროვის ორგენოსანი
საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი
Грузинский ордена Трудового Красного Знамени
сельскохозяйственный институт



სამეცნიერო ჟურналი, №. 106 Т. НАУЧНЫЕ ТРУДЫ

ეკონომიკური და მეთანიკური
ШЕЛКОВОДСТВО И ТУТОВОДСТВО

თბილისი — 1978



სსრ კავშირის სოციალურ მუნიციპალიტეტის სამინისტრო МИНИСТЕРСТВО СЕЛЬСКОГО ХОЗЯЙСТВА СССР

შრომის წითელი დროშის ორდენისანი

Грузинский ордена Трудового Красного Знамени сельскохозяйственный институт

БІЛГІСБОҚЫМ ЗАЛМАСЫ, №. 106 Т. НАУЧНЫЕ ТРУДЫ

მეცნიერებებისა და მეთევთების ШЕЛКОВОДСТВО И ТУТОВОДСТВО

თბილისი — 1978 ტელესკოპი



საქართველო

მეცნიერებულებრივი სტატიულო-კურსორის გარემონტული
ტურ მეცნიერობა-მეცნიერებების სერიის ტომის მა-
სალებზე განხილულია ფაულტეტის სამეცნიერო სამუშა-
ხდომის შე და მოწონებულია შრომის წითელი დროშა
ორგანიზაციის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინს-
ტიტუტის სამეცნიერო სამუშავო.

Материалы сборника по тутоводству и шелководству рассмотрены на заседании Ученого совета учебно-исследовательского факультета шелководства и одобрены Ученым советом ордена Трудового Красного Знамени Грузинского сельскохозяйственного института.

მთავარი რედაქტორი პროფ. ვ. მეტრეველი

სარედაქციო კოლეგია: ე. ბაბურაშვილი, ქ. ბობოხიძე (3/მგ. მდუ-
ვანი), პროფ. ი. ლოლიძე, დოც. გ. ჭვიანაძე, (მთ. რედ. მადგილი),
დოც. გ. ნიკოლევიშვილი, დოც. შ. ღვინევაძე, დოც. ა. ძელაძე.

Главный редактор проф. В. И. Метревели

Редакционная коллегия: Э. И. Бабурашвили, Дж. П. Бот-
бохидзе (отв. секретарь), доц. Ш. К. Гвинепадзе, доц. А. Н.
Дзнеладзе, проф. И. М. Долидзе, доц. Г. Э. Звиададзе, доц.
Г. В. Николайшивили.



შეკვეთის დილექცია დროშის ორდენისანი

ამართებულოს ხასაზღვრულ-სამცურეო ინსტიტუტის უროვაზე, ფ. 106, 1978 წლის 20 ივნისი

**ТРУДЫ ГРУЗИНСКОГО ОРДЕНА ТРУДОВОГО КРАСНОГО ЗНАМЕНИ
СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ИНСТИТУТА, т. 106, 1978**

УДК 634.38:581.14:631.89

გ. საქართველო

ორგანიზი და გინერალური სასუვების გავლენა თუთის თასლერისა და

საძირის ფესვთა დისტანციული ურდა-განვითარებაზე

სარგავი მასალის გამოხრდისათვის საჭირო აგროტექნიკური ღონისძიებების წარმომადგენ განხორციელებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს თუთის თესლ-ნერგებისა და საძირის ფესვთა სისტემის ზრდისა და ნიადაგში გაადგილების უკიდურებათა გამოკვლევას. ცნობილია, რომ მცირე სიღრმის ნიადაგებზე მნიშვნელობის მცენარეთა ფესვთა სისტემა, დამუშავებული რიგორული მცირე სიღრმის მიმართულებით, პორიზონტალურად ვითარდება და განლაგებულია ზედა ფენაზე 10—30 სმ სიღრმეზე; უფრო ნაყოფიერ ნიადაგებზე კი ფესვთა სისტემის ძირითადი შემწოვი ფენა 50 სმ-მდე სიღრმეზე ვითარდება.

თუთის ხის ფესვთა სისტემის ზრდა-განვითარების თავისებურებანი შედარებით ნაკლებადაა შესწავლილი. ჩვენ მიერ 1962—1966 წლებში საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის ტყის ყავისფერი ტიპის ნიადაგებზე შესწავლილი იყო თუთის თესლ-ნერგების, საძირის, ნამყენი ნერგების, კალმით დაფესვიანებული ნერგების და მულმიც აზგილზე დარგული ნერგის ფესვთა სისტემის ზრდისა და ნიადაგში მისი გაადგილების თავისებურებანი. შესწავლილი იყო აგრეთვე სხვადასხვა ჯიშის თესლისაგან მიღებული თესლნერგების ფესვთა სისტემის ზრდა-განვითარების თავისებურებანი. გამოირკვა, რომ ძლიერი და ნიადაგში კომპაქტურად განლაგებული ფესვთა სისტემით გამოირჩევიან ჯიშ ქუთათურისა და უჯიშოფორმის ტატარიკას თესლნერგები. კარგად განვითარებული ფესვთა სისტემა ჰქონდათ აგრეთვე კოკუსო 13-ისა და ლუს ჯიშის თესლნერგებს. აღნიშნული იყო ხელოვნური ჰიბრიდიზაციის დროს დამატვერიანებლის გავლენა თესლ-ნერგების ფესვთა სისტემის განვითარების ხასიათზე, კერძოდ, ფესვების საერთო სიგრძის ცვალებადობაზე. ჩვენ, მიერ დადგენილია, რომ თუთის თესლნერგის ფესვთა სისტემის ძირითადი ნაშილი ვრცელდება 30—50 სმ სიღრმეზე [1].

ჯერ კიდევ 30 წლის წინათ გ. ალექსიძემ შეისწავლა სხვადასხვავარი გარემოს გავლენა თუთის ფესვთა სისტემის ზრდა-განვითარებაზე [2]; მან დაადგინა, რომ წაბლა, მძიმე თიხნარ, ურწყავ ნიადაგებზე 5-წლიანი თუთის ხის ფესვები თითქმის 5 მ სიღრმეზე არის გავრცელებული და რომ მისი პორიზონტალური განლაგების დიამეტრი მცირეა, ხოლო ფარულ ეწერიან, მცირე სიღ-

მის ხირხატიან ურწყავ ნიადაგებზე: თუთის ხის ფესვთა სასტემა წაკლებ ხიდან-შეზეა: განლაგებული.

ი. ლუზინის გამოკვლევით ტაშკენტის სარწყავა პირობებში დაუმიმ მისამართ ნერგებისა და ბუქქოვანი ნარგაობის ფესვთა სისტემის ძირითადი მასა რუს ნიადაგებზე, როცა გრუნტის წყლები 3 ჭ სილიმეზეა, ვითარდება ზედაპირულად—80 სმ-მდე [3].

უ. აბდულაევმა თუთის თესლნერგის ფესვების ზრდის ზავისებურება: შუა-აზიის პირობებში დაუკავშირა მთავარლერდა ფესვის გადაჭრის ვადას [4]. მის მიერ ზალგენილია, რომ ძლიერი ფესვთა სისტემის განვითარების უნარით ხას-იათდება მცენარე მაშინ, თუ მისი მთავარლერდა ფესვი გადაიჭრება თესლნერგზე 2—3 ფრთლის განვითარების ფაზაში. იგივე ავტორი მიუთიხებს, რომ გადარ-გული თუთის ხის ფესვთა სისტემის უანურითარება ბევრად არის დამოკიდებუ-ლი ნიადაგის განცყიერებაზე და რომ ძლიერი ფესვთა სისტემის წარმოქმნას ხელს შრწყობს, ორკანულ-მინერალური სასუქების ნარევი.

თუთის ხის ფესვთა სისტემა მეთოდურად მეტად ძნელი შესასწავლია. ფესვთა სისტემის სიგრძე: ან წონის შესახებ მსჯელობენ მას შემდეგ, რაც თესლნერგს, ნე-რგს ან მოზრდილ მცენარეს ნიადაგიდან ამოიღებენ (ნაწილობრივი ან მთლიანი გა-თხრის შესი და სხვ.), ამ დროს ნიადაგში დიდი რაოდენობით რჩება ფესვები და ზუსტი მონაცემები არ მიიღება. ამით უნდა იყოს გაპირობებული, რომ თუთის თესლნერგებისა და ნერგების ზრდა-განვითარების შესახებ ლიტერატურაში მეტად მცირე მასალა მოიპოვება [5, 6].

1966—1968 წლებში, ვებარეშუმეობის ფაულტეტის სტუდენტი პ. ადეი-შვილთან ერთად, შევისწავლეთ მინერალური და ორგანული სასუქების გა-ლენა თუთის თესლნერგებისა და საძირეს ფესვთა სისტემის ზრდა-განვითარება-ზე. ცდაში გამოყიერეთ ორიგინალური მეთოდი, რამაც საშუალება მოგვცა ნიადაგია თესლნერგებისა და საძირეს ფესვთა სისტემა ამოგვეღო დაუზია-ნებდ უ. უდანაკარგოდ. ამ მიზნით თუთის თესლი ჩაითვა სპეციალურად და-მზად ულ ყუთებში. ვეგეტაციის დასტულებისას ყუთის ერთი მხარე გაიხსნა და ლის მუდმივი ნაკალით ნიადაგის გამორეცხვის გზით ფესვთა სისტემა შესრუ-ლან ამოღებული იქნა უკნებლად. ცდა ჩატარდა შვიდვარიანტიანი სქემით:

1. აზოტი+ფოსფორი+ნაკელი,
2. ულსფორი+ნაკელი,
3. აზოტი + ფოსფორი
4. აზოტი,
5. ფოსფორი,
6. ნაკელი,
7. საკონტროლო (სასუქის გარეშე).

თესლის ჩასათვალი მომზადდა ყუთები ზომით:

1. 50 X 50 X 100 სმ 7 ცალი; 1 ყუთის სასარგებლო ფართობი $0,5 \text{ m}^2$.
2. 100 X 100 X 100 სმ 7 ცალი; 1 ყუთის სასარგებლო ფართობი 1 m^2 .

ყველა ყუთი შეივსო მდელოს ყავისფერი ტიპის ნიადაგით და დაიტკეპნა. მინერალურ სასუქებად გამოყენებული იყო ამონიუმის გვარჯილა ($N 35\%$) და სუბერტოსფატი ($P_2O_5 - 20\%$). სასუქების დოზა 1 ჰა-ს ანგარიშში: ნა-

კული—60 ტ, აზოტი—160 კგ, ფოსფორი—90 კგ, ნაცელი და ფოსფორი შეტანილ იქნა თესლის ჩათვასამდე, აზოტი კი თესლნერგების აღმოცენების შემდგრადი ჯერად: 25 ივლისს საერთო დოზეს $\frac{2}{4}$ ნაწილი; 9 აგვისტოს— $\frac{1}{4}$ და 28 იანვრის ტოს— $\frac{1}{4}$ ნაწილი. თესვა ჩატარდა 1966 წლს (1/VII). ჩაითხოვთ გრუზის კიშის თავისუფალი დამტვერვით მიღებული თესლი. ნათესარი ირწყვებოდა ყოველ-დღიურად (საღამოს საათებში) 1 სექტემბრამდე, შემდეგ კი 25 ოქტომბრამდე ირწყვებოდა სამ დღეში ერთხელ. თესლნერგების ფესვთა სისტემა ამოღებული იქნა 1966 წლის 4 დეკემბერს. თესლნერგების ერთი ნაწილი კვლავ ჩაიტარდა უფერებში საძირის გამოზრდის მიზნით. თესლნერგების დარგვა და საძირის აღზრდა მოხდა 1967 წლს: მინერალური სასუქები შეტანილი იყო გამეორებით. დადი ზომის ყუთებში მცენარეები დარჩა ამოულებლად საძირის ფესვთა სისტემისათვის შესაძარებლად. საძირისა და ორწლიანი თესლნერგების ფესვთა სისტემა ამოღებული იქნა 1967 წლის ოქტომბრის შუა რიცხვებში.

ფესვთა სისტემის შესასწავლად შერჩეული იქნა 5—5 მცენარე. მათი ფესვების ჰაერმშრალ მდგომარეობაში გადასვლის შემდეგ დადგენილი იქნა ფესვთა სისტემის საერთო სიგრძე (ბუსუსების გარეშე) და აიჭონა როგორც გამტარი, ისე შემწოდი სისტემა. ორივე წლის სავეგეტაციო პერიოდში აღიარიცხა თესლნერგებისა და საძირის მიწისზედა ნაწილების დეკადური ნაზარდი.

პირველ ცხრილში აღნიშნულია თუთის თესლნერგების მიწისზედა და მიწისვეზა ნაწილების ნაზარდის დამახასიათებელი მაჩვენებლები. თესლნერგების ფესვთა სისტემა ნაჩვენებია პირველ სურათზე. როგორც გამოირკვა, თესლნერგების ზრდას პროცესი მიმღინარეობდა ოქტომბრის დასაწყისამდე. როგორც პირველ ცხრილში აღნიშნული მასალებიდან ჩანს, სასუქები განსაკუთრებით მოქმედებს თესლნერგების შემწოვი ფესვების საერთო წონაზე; შემწოვი ფესვების დადი რაოდენობით წარმოქმნას ხელი შეუშეყო ნიაღაგში აზოტის, ფოსფორის და ორგანულ-მინერალური სასუქების ნარევის შეტანამ; ეს მაჩვენებელი საკონტროლოსთან შედარებით 337%-ით ჩამოარტირდა. სასუქები გარკვეულ გავლენას ახდენს თუთის თესლნერგის ფესვების საერთო რაოდენობაზე, რაც 25%-ის ფარგლებში მერყეობს. როგორც ჩანს, ნაკელიან ვარიანტში თესლნერგის ფესვები მსხვილია და ძლიერად არის განვითარებული (სურ. 1, პირველი, მეორე და მეექვეს ვარიანტები). სასუქებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა აგრეთვე თესლნერგის ფესვების საერთო სიგრძეზე, რაც 28%-ით გაიზარდა პირველ ვარიანტში. ფესვების სიგრძის მატებას ხელს უწყობს ნიაღაგში ფოსფოროვანი სასუქების შეტანა (ცხრ. 1, ვარიანტები: 1, 2, 3, 5). პირველ ცხრილში აღნიშნული მონაცემებიდან აგრეთვე ჩანს, რომ სასუქები განსაკუთრებულ გავლენას ახდენენ თესლნერგის ფესვთა სისტემის საერთო წონაზე; ეს მაჩვენებელი საკონტროლოსთან შედარებით 134%-ის ფარგლებში მერყეობს. ნიაღაგში მრავლდე აზოტის შეტანა ფესვების წონას ადიდებს 24%-ით, ფოსფორის შეტანა კი 35%-ით. ნიაღაგში ნაკელის შეტანის შემთხვევაში თესლნერგის ფესვების საერთო წონა იმატებს 85%-ით, ფოსფორისა და ნაკელის ერთობლივი შეტანი კი 93%-ით. ორგანულ-მინერალური სასუქების ნარევის შეტანა თესლნერგის ფესვების საერთო წონას ზრდის 134%-ით, როგორც ირკვევა, ფესვების




0 6 6 0 1

სასუქების გაცლენა თუთის თესლნერების ზრდა-განვითარებაშე 1966 წ.

| გარემოს დასტურება | თესლნერების სრულლებრივი | | | გენერის გალის დიამეტრი | | | უკავშირის რაოდენობა | | | დესეს საფ- რთო სიგრძე | | | უკავშირის წონა | | | | | |
|-------------------|----------------------------|------|-------|---------------------------|------|-----|------------------------|-----|-------|--------------------------|-------|-----|-------------------|---------|-------|-----|-------|-----|
| | 28.VII | | 25.IX | მმ | მმ | % | ცალი | მმ | % | მმ | მმ | % | შემწერა | გამტარი | სულ | | | |
| | სმ | მმ | % | | | | ცალი | მმ | % | სმ | მმ | % | გვ. | გვ. | გვ. | | | |
| 1 | N+P+ | ნეტი | | 38,5 | 52,0 | 140 | 6,2 | 264 | 125 | 125 | 1085 | 128 | 1,74 | 385 | 11,60 | 226 | 12,64 | 234 |
| 2 | P+ | ნეტი | | 22,9 | 36,3 | 98 | 4,5 | 145 | 92 | 92 | 1000 | 118 | 1,10 | 477 | 9,31 | 181 | 10,41 | 193 |
| 3 | N+P | | | 26,3 | 37,9 | 102 | 4,3 | 139 | 94 | 94 | 1012 | 119 | 1,01 | 374 | 6,24 | 122 | 7,25 | 134 |
| 4 | N | | | 31,3 | 39,0 | 105 | 4,2 | 135 | 98 | 98 | 900 | 106 | 1,18 | 437 | 5,54 | 108 | 6,72 | 124 |
| 5 | P | | | 31,2 | 38,5 | 104 | 4,4 | 142 | 120 | 120 | 1051 | 124 | 1,10 | 407 | 6,19 | 121 | 7,29 | 135 |
| 6 | ნეტი | | | 27,6 | 42,8 | 116 | 5,2 | 163 | 89 | 89 | 878 | 104 | 0,90 | 333 | 9,09 | 177 | 9,99 | 185 |
| 7 | ნეტი | ნეტი | | 30,0 | 37,0 | 100 | 5,1 | 100 | 100 | 100 | 847 | 100 | 0,27 | 100 | 5,13 | 100 | 5,40 | 100 |
| | ნაშტალი | | | 28,2 | 40,5 | — | 4,9 | — | 102,6 | — | 967,6 | — | 0,94 | — | 7,59 | — | 8,53 | — |


საერთო წონის მატებას განსაკუთრებით უწყობს ხელს ნიაზაგში ნუკლის შე-
ტანა (ცხრ. 1, ვარიანტები: 1, 2, 6). თესლნერგის ფესვთა სისტემის ასულებული
საცავითი დღი



სურ სისტემის ფესვთა საცავი 1 თესლნერგის ფესვთა საცავი

განვითარება აშენა ვავლენას ახდე ნს მისი მიწისულა ნაწილების ნაზარდის
ოდენობასა და მსგლელობაზე. თესლნერგების დეკალური ნაზარდის აღრიცხვით
გამოიჩინა, რომ ნაყელიანი ვარიანტების (1, 2, 6) თესლნერგები შედარებით

დწტენსიურად ძირდებიან. ვეგეტაციის მეორე პერიოდშიც, იმ ღრას როდებაც
დანარჩენი ფართანტის თესლერგები მნიშვნელოვნად ანელებენ ზოგის პლანტაციას.



სურ. 2 თუთის არყოფნი ფესლნერის ფქვით სისტემა.


როგორც პირველი ცხრილიდან ჩანს, ცალკეული სასუქის გავლენით თესლ-ნერგის სიმაღლე 40%-ის ფარგლებში იმატებს. ყველაზე კარგ შედეგს იძლევა ორგანულ-მინერალური სასუქების ნარევის შეტანა. თესლნერგის სმიალლეს 16%-ით აღიზებს ნიაზაგში მხოლოდ ნაკელის შეტანა.



სასუქების გავლენა თუთის ორწლიანი თესლნერგების ზრდა-განვითარებაშე 1967 წ.

| ვარიანტის დასახელება | თესლნერგის სიმაღლე | | ფეხვის ყელის დოზები | | ფეხვების რაოდენიბა | | ფეხვების სა- ერთო სიგრძე | | შემწოდების ვარგარი | | ფეხვების სა- ერთო სიგრძე | | სრულ | |
|-------------------------|-----------------------|-----|------------------------|-----|-----------------------|-----|-----------------------------|-----|-----------------------|-----|-----------------------------|-----|--------|-----|
| | სმ | % | მმ | % | ცალი | % | სმ | % | მ | % | სმ | % | მ | % |
| 1 N+P+ნაკლი | 100,7 | 169 | 23,0 | 153 | 647 | 260 | 9365 | 279 | 8,23 | 411 | 109,3 | 340 | 117,53 | 344 |
| 2 P+ნაკლი | 87,0 | 148 | 20,5 | 137 | 501 | 201 | 7003 | 209 | 5,75 | 287 | 60,0 | 187 | 65,75 | 193 |
| 3 N+P | 81,0 | 136 | 18,8 | 125 | 444 | 178 | 6631 | 198 | 3,45 | 172 | 61,10 | 190 | 64,55 | 189 |
| 4 N | 84,2 | 142 | 20,1 | 134 | 473 | 150 | 7288 | 217 | 6,54 | 327 | 66,51 | 207 | 73,05 | 214 |
| 5 P | 62,5 | 105 | 16,2 | 108 | 433 | 174 | 5931 | 177 | 3,50 | 175 | 39,23 | 122 | 42,73 | 125 |
| 6 ნაკლი | 81,5 | 137 | 19,8 | 132 | 516 | 207 | 7224 | 215 | 6,90 | 295 | 68,62 | 214 | 74,52 | 218 |
| 7 საკონტროლო საშეალო | 59,4 | 100 | 15,0 | 100 | 249 | 100 | 3556 | 100 | 2,00 | 100 | 32,12 | 100 | 34,12 | 100 |
| | 79,6 | — | 18,7 | — | 466 | — | 6685 | — | 5,05 | — | 62,41 | — | 67,46 | — |


ორშლიანი თესლნერგების მიწისხედა და მიწისქვედა ორგანოების ნაზარ-ზის მაჩვენებლები აღნიშნულია მეორე ცხრილში და მეორე სურათზე. როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს, სასუქების გავლენით მკვეთრად იცვლება მოგორუ ფესვების რაოდენობა (160%), ისე მისი საერთო სიგრძე (179%) და ტონა (244%). ყველაზე უკეთეს შედეგს იძლევა ორგანულ-მინერალური სასუქების ნარევი (I ვარიანტი), აგრეთვე ფოსფორისა და ნაკელის ნარევი (II ვარიანტი), ეს აშკარად ჩანს მეორე სურათზეც. როგორც ჩანს გადაუჭრელად დატოვებული ორშლიანი თესლნერგის ფესვთა სისტემა საკმაოდ ძლიერად ვითარდება, მიწისხედა ნაწილების ნაზარდი კი არც თუ ისე დადია. საკონტროლო თესლნერგის სიმაღლემ 60 სმ-მდე მიაღწია, სასუქების გავლენით კი ეს მაჩვენებელი 70%-ის ფარგლებში იმატებს. ნაზარდი განსაკუთრებით ძლიერია ნაკელიან



სურ. 3. აცავის თესლნერგისა და საძირის ღეროს ზრდის რიტმელობა.

ვარიანტებში, თითქმის ანალიგურია თესლნერგის სიმსხოში ზრდის მიმდინარეობა. ორშლიანი თესლნერგის სიმაღლეში დეკადური ნაზარდის აღრიცხვით გამოირკეთ, რომ ზრდის პროცესი მიმდინარეობს მასის დასაწყისიდან სექტემბრის ბოლომდე, მაგრამ იგი თუ პერიოდულ შიმდინარეობს. ინტენსიური ზრდის პირველი პერიოდი არის მასის თვეში და ივნისის პირველ ნახევარში; შემდეგ ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად მცირდება. ნაზარდის დანერობის ახალი შატება იწყება იგდისტოს პირველივე დეკადაში; იგი მაქსიმუმს აღწევს აგვისტოს შოლოს; შემდეგ კლავ იწყებს შენელებას და მინიმუმამდე დაცემა აქტომზრის პირველ დეკადაში. აღსანიშნავია, რომ თესლნერგის ზრდის პროცესის მეორე

პერიოდში ნაბრძლის ინტენსივობა რამდენადმე შეტია პირველ პერიოდთან შედარებით (დიაგრამა 1). ეს განსხვავება სასუქების გავლენას უნდა მიერჩიოს გადასახვები ყუთებში ჰაბიტის აღზრდის მიზნით. დარგვისთანავე თესლნერგები



სურა 24. თესლის საძირის ფენსა სისტემა.

გადაიჭრა წესის შესაბამისად. მესამე ცხრილში და მესამე სურათზე ჩამოვლენია საძირის მიწისზედა და მიწისქვედა ორგანოების ზრდა-განვითარების კამახა-



ს. სუქების გავლენა თუთის საძირის ზრდა-განვითარებაშე 1937 წ.

ცხრილი 3.

| ვარიანტის ღარისხის დასხელება | ს მორის ხასიათი | | ცენტრის ყავის დამუშავება | | ფენის რაოდენობა | | ფუსვების სა- გრძოლო სივრცე | | ფუსვების წილი | | | | | |
|------------------------------|--------------------|-----|-----------------------------|-----|--------------------|-----|-------------------------------|-----|---------------|---------|-------|-----|-------|-----|
| | ლ | % | ლ | % | ლ | % | ლ | % | შემწევა | კამტარი | სილ | | | |
| | | | | | | | | | გ | % | გ | % | გ | % |
| 1 N + P-ზრდება | 169,0 | 166 | 17,7 | 711 | 539 | 399 | 6726 | 414 | 5,71 | 433 | 37,81 | 58% | 43,52 | 562 |
| 2 P-ზე გადა | 142,4 | 129 | 13,4 | 159 | 190 | 215 | 3545 | 213 | 3,02 | 229 | 12,24 | 191 | 15,26 | 197 |
| 3 N + P | 174,3 | 153 | 14,4 | 171 | 339 | 251 | 5117 | 315 | 2,23 | 170 | 13,41 | 209 | 15,64 | 202 |
| 4 N | 131,5 | 115 | 13,9 | 165 | 303 | 224 | 3645 | 224 | 3,51 | 266 | 15,62 | 243 | 11,13 | 247 |
| 5 P | 127,5 | 114 | 10,0 | 119 | 191 | 141 | 2913 | 182 | 2,24 | 170 | 10,04 | 156 | 12,28 | 159 |
| 6 ნაკვეთი | 131,5 | 115 | 11,6 | 136 | 283 | 210 | 3528 | 217 | 3,91 | 296 | 11,21 | 175 | 15,12 | 195 |
| 7 საკონტროლო | 114,0 | 100 | 8,4 | 100 | 135 | 100 | 1626 | 100 | 1,32 | 100 | 6,42 | 100 | 7,74 | 100 |
| სამკლა | 144,7 | — | 14,8 | — | 297 | — | 3877 | — | 3,13 | — | 15,25 | — | 17,38 | — |

სისთურელი შეაჩერებლები, როგორც პრემინაციებითან პრკვევა, საძირებელი ქვედა
წარმოქმნილი ფესვების რაოდენობა, სიგრძე და წონა უფრო მეტი ინტენსიურული
იცვლება, ვიდრე ამას ადგილია ქვეს ორწლიან თესლერგებში. საერთო სკორის მიხედვით
ძირეთა ნაკვეთზე თესლერგების დარგვის წელს ვე აღლადწარმოქმნილი ცვლების
რაოდენობამ სასუქების გავლენით მომრმატა თითქმის 300%-ით კიდევ უფრო მეტი
ინტენსიურობით შეიცვალა საძირის ფესვების საერთო სიგრძე (314%); და წონა
(462%). საძირის მიწისზედა ღეროს სიმაღლე სასუქების აზგულებით იმატებს
66%-ის, ხოლო სიმსხოი 111%-ის ზარგლუებში. აღსანრშთავის წარმატების ზრდის
პრეცესის თვალისებრუება. ორწლიანი თესლერგის მსგავსად ზრდის პროცესი
ხანგრძლვია; იგი იწყება მაისის პირველ დეკადაში: და გრძელდება სექტემბ-
რის ბოლომდე. საძირის ზრდის პროცესშიც შემჩნევა ბერიოდულობა; მაგრამ
ორწლიანი თესლერგებისაგან განსხვავებით აქ ზრდის შენელება არჯერ ხდე-
ბა (იხ. დიაგრამა). ზრდის პირველი ნაკადი მაისის თვეშია. მაისის ბოლოს ზრდის
ტემპი რამდენადმე ცირკულარება, შემდეგ ისევ იმატებს; ზრდის ტემპის მეორეჯერ
შემცირება წარმოებს ივნისის ბოლოს, ხოლო ნაზარდის ინტენსივობა მნიშვნე-
ლოვნად იმატებს აგვისტოს დასაწყისში, მაქსიმუმს აღწევს აგვისტოს. შეუარც-
ვებში, შემდეგ კი თანმიმდევრულად ეცემა. დიაგრამაზე აღნიშნულ მრუდზე
ნათლად ჩანს, რომ აგვისტოს თვის ზრდის ინტენსივობა გაცილებით მეტია
მაისის თვის ნაზარდის ინტენსივობასთან შედარებით. ამასთან აღსანიშნავია
ისიც, რომ საძირის ნაზარდის ოდენობა მნიშვნელოვნად ჭარბობს ორწლიანი
თესლერგის ნაზარდის ოდენობას. თესლერგისა და საძირის მიწისზედა და
მიწისუქედა ორგანოების ნაზარდის ასეთი თავისებურებანი, რაც სასუქების
სხვადასხვა სახეებთან არის დაკავშირებული, გათვალისწინებული უნდა იქნეს
თუთის საერთო შეაჩერებაზე აგროტექნიკური ონისძიებების დასახვისას.

დასკვნა

1. სასუქების გავლენით შეკვეთად იცვლება თუთის თესლერგისა და საძირის
როგორც ფესვების რაოდენობა, საერთო სიგრძე და წონა, ისე მიწისზედა
ღეროს სიმაღლე და სიმსხო. განსაკუთრებული ინტენსივობით იცვლება სა-
ძირის ფესვების რაოდენობა, საერთო სიგრძე და წონა.
2. თუთის თესლერგისა და საძირის ზრდა-განვითარებაზე განსაკუთრებით
დადებით გავლენას ახდენს ორგანულ-მინერალური სასუქების ნარევი:
ნაცელი—60 ტ/ჰა, აზოტი—160 კგ/ჰა და ფოსფორი—90 კგ/ჰა.
3. თუთის თესლერგისა და საძირის ზრდა-განვითარებაზე უფრო მეტი დადებით,
გავლენას ახდენს ფოსფორისა და ნაკელის ნაკევე, აგრეთვე ფალკე ნაკელი,
ტალკე მინერალურ სასუქთან შედარებით.
4. თუთის თესლერგისა და საძირის შემწოვი ფესვების ჭარბოქმნას განსაკუთ-
რებით უწყობს ხელს ნაკელი და აზოტი. ფესვების საერთო წონაზე ყველაზე
მეტი გავლენას ახდენს ნაკელი.
5. თესლერგისა და საძირისათვის დამახასიათებელია მიწისზედა ღეროს სიგ-
რძეში ზრდის ერთი ციკლი, რომელიც პერიოდულობით ხასიათდება. თესლ-

ნერგის ნიმუშის პროცესის შენელება ხდება იეზისის მეორე დეკადით იცავ-
სის ბოლოშიცე, ხოლო სამარტინი—მაისისა და ივნისის შესაბამე დეკადაში.

ლ ღ თ ვ რ ა ტ უ რ ი — Л и т е р а т у р а პ ი პ ა რ ი მ ი ს ი

1. გ. ზ ი ა დ ა ძ ე, მეთუთეობა, თბ., 1969.
2. გ. ა ლ ე ჭ ს თ ძ ე, გარემო პირობათა გავლენა თუთის ფეხვთა სისტემის
ზრდა-განვითარებაზე. თბილისის მემკრეულეობის სამეცნიერო-კვლევი-
თო იმპრიტუტის შრომები, ტ. I, 1947.
3. И. С. Чирков и др. Основы тутоводства. Т., 1945.
4. У. А. Абдуллаев. Влияние сроков повреждения и условий среды на
восстановление корней шелковицы. Жри. Шелк, № 2, 1961.
5. О я м а Кацу о. Изучение функции корня шелковицы после обрезки
побегов. Бюллетень шелководства, 1970, 24, № 1 (На японском
языке).
6. И. Негреси. Влияние агротехнического комплекса на развитие кор-
невой системы шелковицы на орошаемых песчаных почвах Юга
Румынии. Жри. «Шелководство», 1972, 8 № 2 (На румынском
языке).

УДК 634.38:631.52.02:631.81.095.327

ვ. კაპულია, ი. პოტირლიშვილი

მისამართის მიმდევით თათის თასლის თავისებით დამუშავების უაღებები

ლიტერატურული მონაცემების მიხედვით მიკროელემენტების სსნარში თესლის თემატიკინა დამუშავება მნიშვნელოვნად აღმოცენებს თესლის გალივების უნივერსალურობის, ზრდის აღმოცენების უნარს და ამავე დროს იძლევა მაღალი მოსავლის მიღებისა და სასალ, დაავადებათა მიმართ გამძლე, სიცოცხლისუნარიანი მცენარეების გაზრდის საშუალებას. ასე, მაგალითად:

ო. კ. დობროლიუბსკის [2], შკოლნიკს და აბდურაშიდოვს [18], პ. ფ. მელევედევს [10] და სხვ. მიკროელემენტების სსნარში დამუშავებით მიღებული აქვთ სიმინდის თესლის გალივების ენერგიის, აღმოცენების პროცენტისა და მოსავლის გაზრდა. ა. გ. მიხაილოვსკი ზა ტ. დ. მელნიკი [9] ამავე დროს უნიშვნავენ ყინვაგამძლეობის გაზრდას და ტაროების მომწიფების დაჩქარებას.

გ. მამედოვს [11], ი. ა. გალილოვს [4], მიკროელემენტების სსნარში ბამბის თესლის დამუშავებისას, მიღებული აქვთ ბამბის მოსავლის და ხამი ბამბის გამოსავლის მნიშვნელოვანი გაზრდა.

მ. ი. შკოლნიკს და ნ. ა. მაკაროვას [17], მ. ნ. ხარიშვილის [16] საშემოდგომო ხორბლის და ქერის სხვადასხვა მიკროელემენტების სსნარში დამუშავებისას მიღებული აქვთ მოსავლის მნიშვნელოვანი ზრდა. თესლის აღმოცენების უნარის საგრძნობლად გაზრდას და მის დაჩქარებას აღნიშნავენ სუხაი [13]—ყვითელი აკაციის, თეთრი თუთისა და ჩვეულებრივი ფიჭვის თესლის დამუშავებისას, ა. გ. სილინი [14]—იონჯას თესლის, ვ. კაპოსტი [17]—ფიჭვის და ნაძვის თესლის, მ. ზარდალიშვილი [5], დობროლიუბსკი [3]—შაქრის ჭარხლის თესლის დამუშავებისას და სხვ.

ზოგი მკვლევარის ცდაში თესლის აღმოცენების უნარის და მოსავლის გაზრდასთან ერთად აღვილი აქვს დაავადებათა მიმართ მცენარეების გამძლეობის გაზრდას. ასე, მაგ., ე. ა. გრებენჩუქის [1] ცდებში, ხორბლის სხვადასხვა მიკროელემენტის სსნარში დამუშავება, თესლის აღმოცენების გაზრდასთან ერთად იწვევს მცენარეების გამძლეობის გაზრდას პელმინთოსპორიოზის მიმართ. ასევე, ტ. ა. კრძანოვას [6] ცდებში ხორბლის შეფრქვევა მიკროელემენტებით, აჩქარებს თესლის აღმოცენებას და ზრდის მცენარეების გამძლეობას დაავადებათა მიმართ. ნ. იაკოვლევას [19] მონაცემებით კარტოფილის ტუბერების მიკროელემენტებთან ერთად ფორმალინის სსნარში დამუშავება, გარდა მოსავლის გაზრდისა, იწვევს ტუბერების ფიტოფტოროზით დაავადების საგრძნობლად შემცირებას.

წინამდებარე ნაშროვში მოცემულია: სხვადასხვა მიკროელემენტის გავლენაზე თუთის ტესლიზე, თესლნერგების, ზრდა-განვითარებასა და დაფარცვის მიზანის აღნიშვნელობის საქართველოს სასოფლო-სამეურნეოს ინსტიტუტის მეცნიერებულის ფაკულტეტის ლაბორატორიაში და დიღმის საცდელ მეურნეობაში. გამოყენებული იყო შულავერში დაძიადებული თესლი.

ლაბორატორიულ პირობებში ისტავლებოდა მიკროელემენტების გავლენაზე თუთის თესლის გაღიერების ენერგიასა და აღმოცენების პროცენტზე. ამ მიზნით, თესლის 24 საათით თავს ჩემ გადასახვა მიკროელემენტისა და მათი კომბინაციების ხსნარებში. თესლის გაღიერების ენერგიისა და აღმოცენების პროცენტის შემოწმება ხდებოდა დღეწერზე ცვალებად ტემპერატურაზე (25—38°). ცდაში გათვალისწინებული იყო საკონტროლო ვარიანტი—თესლის დამუშავება წყალში. ცდები დაყენებული იყო სხვადასხვა აღმოცენებისუნარის (მაღალი, საშუალო, დაბალი) თესლზე.

თესლის დამუშავება ხდებოდა აგრეთვე მიკრო- და მაკროელემენტების ხსნარში ერთდროულად. აქ ფონად აღებული იყო NPK-ს ხსნარი, რომელსაც ემატებოდა სხვადასხვა მიკროელემენტი იმავე კონცენტრაციებში, როგორც ცალკე მათი გამოყენებისას. აზოტი აღებული იყო NH₄NO₃-ის, ხოლო კალიუმი და ფოსფორი K₂HPO₄-ის სახით. ამ შემთხვევაში გათვალისწინებული იყო როგორი საკონტროლო ვარიანტი—თესლი დამუშავებული წყალში და თესლი დამუშავებული მხოლოდ NPK-ს ხსნარში.

საველე ცდა ჩატარდა დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის საოეს სკოლაში, მდელოს ყავისფერ, მძიმე თიხნარ და თხა ნიადაგებზე 0.2 ჰა-ზე 4 განმეორებით. თესვის წინ თუთის თესლი დამუშავდა სხვადასხვა მიკროელემენტის ხსნარში და დაითესა ზაფხულში (ივნისის ბოლოს).

საველე ცდაში, თესლის დამუშავებასთან ერთად დამატებით გამოყენებული იყო ფესვგარეშე გამოკვების მეთოდი, ამისათვის თესლნერგების ფესვგარეშე გამოკვება ჩატარდა სამჯერ: პირველი როდესაც აღმონაცენებმა 10—12 სმ სიმაღლეს მიაღწიეს, ხოლო დანარჩენმა ორმა, 2—2 კვირის ინტერვალით. მთელი ვეგეტაციის განმავლობაში წარმოებდა დაკვირვება თესლის აღმოცენებაზე, თესლნერგების ზრდა-განვითარებასა და დაავადებათა მიმართ გამძლეობაზე. ვეგეტაციის დასასრულს ცდის ყოველი ვარიანტის განმეორებებიდან 50—50 ცლი თესლნერგი შეფასდა ძირითადი მაჩვენებლის მიხედვით.

პირველ ცხრილში მოცემულია თესლის მიკროელემენტებით და ერთდროულად მიკრო-და მაკროელემენტებით დამუშავების შედეგები გაღიერების ენერგიასა და აღმოცენების პროცენტზე. ლაბორატორიულ პირობებში.

როგორც ცხრილში მოტანილი მასალებიდან ჩანს, ჩვენ მიერ გამოცდილმა მიკროელემენტებმა, როგორც ცალკე, ასევე კომბინაციებში დადგებითი გავლენა მოახდინეს თუთის თესლის გაღიერების ენერგიის და აღმოცენების უნარის პროცენტის გაზრდაზე.

მაღალი აღმოცენებისუნარიანი თესლის შემთხვევაში, როდესაც თესლი მხოლოდ მიკროელემენტების ხსნარში მუშავდება, საკონტროლოსთან შედარებით გაღიერების ენერგიის პროცენტი 4—17,7%-მდე გაიზარდა. საშუალო აღმო-



უნების თესლის შემთხვევაში 6,7-დან 31,7-მდე, ხოლო დაბალი აღმოცენების ფრაქტულის—2,5-დან 33,6%-მდე. უფრო მაღალი ეფექტია მიღებული ბოროვკულებულის კომპინაციებში. ალსანიშნავია, რომ რაც უფრო დაბალია თესლის აღმოცენების უნარი, მთელი უფრო მკაფიოა მიკროელემენტების მოქმედების ეფექტი. დამუშავებული თესლის 2,5 თვის განმავლობაში პერიოდულმა შემოწმებამ გვიჩვენა, რომ თესლის აღმოცენების უნარი არ ეცემა, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ საკიროების შემთხვევაში უშუალოდ თესვის წინ კი არა, უფრო აღრეც მოვახდინოთ მიკროელემენტების ხსნარში თესლის დამუშავება. ამავე ცხრილში მოცემულია მიკრო- და მაკროელემენტების ერთდროული მოქმედება თუ-თის თესლის გაღივების ენერგიასა და აღმოცენების პროცენტზე.

როგორც ცხრილის მასალებიდან ჩანს, თესლის მხოლოდ მაკროელემენტების (NPK) ხსნარში დამუშავება საკონტროლოსთან შედარებით, გაღივების ენერგიას 33,5%-ით, ხოლო აღმოცენების პროცენტს 25,8-ით ზრდის. მიკროელემენტების მიმატებით კიდევ უფრო იზრდება თესლის გაღივების ენერგია და აღმოცენების უნარი.

ლიტერატურაში არსებული მასალების შესაბამისად (ო. დობროლიუბსკი) [3] ჩვენს ცდებში მიღებული ეფექტი უნდა აიხსნას თესვისწინა დამუშავებისას უსლის ხანასახის პლაზმაში მიმდინარე ღრმა ცვლილებებით, რომელიც შემდგომ მზარდ მცენარეს გადაეცემა. მკვლევართა აზრით, თესლის მიკროელემენტების ხსნარში დამუშავებისას, შესაძლებელია შეიცვალოს ბიოქიმიური პროცესების მსვლელობა, პლაზმის კოლოიდურ-ქიმიური შედგენილობა, უჯრედებში ქიმიური ელემენტების შეერთება და სხვ.

ლომბარდის (ციტირებულია ფედოროვის მიერ) [15] მოსაზრებით, თესლის პირველდაწყებითი აღმოცენების დაცემის ერთ მიზეზად თესლში ფერმენტების მოქმედების საქმაოდ სწრაფი დასუსტება ითვლება. ავტორს მის ცდებში, თუ-თის თესლის თუთას ფოთლის წვენში გაღივებით (ფოთლის წვენი შეიცავს ფერმენტ ლიპაზას, რომელიც შლის თესლში არსებულ ცხიმს), მიღებული აქვთ თესლის აღმოცენების პროცენტის 44—58%-ით გაზრდა.

როგორც ცნობილია, მიკროელემენტები აჩქარებენ ორგანიზმში ბიოქიმიურ რეაქციებს, რომლებიც ფერმენტების მონაწილეობით მიმდინარეობს. ფერმენტის როლი კი ცოცხალ ორგანიზმში უაღრესად დიდია, ვინაიდან ორგანული ნივთიერების სინთეზის, დაშლისა და ცვლის ყველა რეაქცია მათი მონაწილეობით მიმდინარეობს.

ჩვენს ცდებში, მიკროელემენტების ხსნარში თესლის დამუშავებისას შემნეული იყო სწრაფი და თანაბარი აღმოცენება. ზოგი მკვლევარის აზრით (კრაუია) [8], მიკროელემენტების მოქმედების შედეგად თესლის ცილოვან ნივთიერებათა კოლოიდები უფრო ინტენსიურად შთანთქმავენ წყალს, რის შედეგადაც თესლი უფრო ჩქარა და თანაბრად ღივდება.

ვფიქრობთ, თესლის მაკრო- და მიკროელემენტების ხსნარში დამუშავებისას, გარდა ფერმენტების აქტივაციის და წყლის რეჟიმის გაუმჯობესებისა, უმჯობესდება აგრეთვე კვების პირობები მისი განვითარების აღრეულ სტადიებში, 2. შრომები, ტ. 106, 1978

მიქრო- და მაკროლემენტების გავლენა თუთის თესლის გაღვებაზე

| | გარეანტრის დასახელება | მიკროლემენტების დანარჩენება, % | მიკროლემენტების დანარჩენება, % | | მიკროლემენტების დანარჩენება, % | | მიკროლემენტების დანარჩენება, % | |
|----|--|--------------------------------|---|---|---|---|---|-------------------------|
| | | | ნეტუსტის მნიშვნელობა, დონე $P_{5\%} = 6,52$ | ნეტუსტის მნიშვნელობა, დონე $P_{5\%} = 4,36$ | ნეტუსტის მნიშვნელობა, დონე $P_{5\%} = 7,12$ | ნეტუსტის მნიშვნელობა, დონე $P_{5\%} = 6,17$ | ნეტუსტის მნიშვნელობა, დონე $P_{5\%} = 5,34$ | N = 6,3 P = 0,2 K = 0,2 |
| 1 | კონტროლი - წყალი | - | 81,3 | 92,6 | 57,3 | 60,0 | 37,4 | 51,5 |
| 2 | კონტროლი NPK - სინტერ | - | - | - | - | - | - | 40,4 |
| 3 | H ₃ BO ₃ | 0,03 | 96,0 | 96,0 | 85,0 | 91,0 | 71,0 | 84,4 |
| 4 | MnSO ₄ | 0,1 | 92,0 | 94,0 | 74,6 | 77,0 | 46,7 | 71,6 |
| 5 | ZnSO ₄ | 0,1 | 85,3 | 93,0 | 64,0 | 67,0 | 37,9 | 54,8 |
| 6 | CuSO ₄ | 0,03 | 88,6 | 92,0 | 68,6 | 70,0 | 44,3 | 65,2 |
| 7 | CoSO ₄ | 0,05 | 94,6 | 94,6 | 67,3 | 71,3 | 40,9 | 53,1 |
| 8 | FeSO ₄ | 0,05 | 88,6 | 95,3 | 71,0 | 73,0 | 61,9 | 57,7 |
| 9 | MnSO ₄ + ZnSO ₄ | | 92,0 | 97,3 | 69,3 | 73,3 | 50,1 | 60,1 |
| 10 | ZnSO ₄ + CoSO ₄ | | 89,3 | 95,3 | 68,0 | 73,0 | 50,9 | 63,2 |
| 11 | MnSO ₄ + ZnSO ₄ + H ₃ PO ₄ | | 86,0 | 96,0 | 84,6 | 90,2 | 70,8 | 81,5 |
| 12 | MnSO ₄ + ZnSO ₄ + H ₃ BO ₃ + CuSO ₄ | | 99,0 | 99,0 | 85,3 | 87,3 | 69,1 | 80,2 |

კონტროლის დონეზე განვითარებული კუთხით გამოიყენება ასეთი დონე:

$$P_{5\%} = 6,56$$

$$P_{5\%} = 5,65$$

სანამ ჩანასახი თებულის მარაგის გამოყენებიდან და მოუკლევებულ, ფესვთა და ჰერიტაჟის კვებაზე გადავიდოდება.

შე-2 ცხრილში მოცემულია მიკროელემენტების მოქმედების შედეგები უს განყოფილებაში.

ცხრილი 2

მიკროელემენტების გამოცდის შედეგები საოც განყოფილებაში

| ცხრილის დარიალი | ცხრილის ნომერი | ცხრილის სტანდარტული მიკროელემენტები | შეფარდებითი % კო- ნსოლითი | | |
|--|--------------------------------------|---|------------------------------|------------------|---------------------|
| | | | ნაზარდი მდ. | სამართლის მდ. | განვითარების მდ. |
| 1 | ცონტროლი - წყალი | 41,4 | 0,55 | 100 | 100 |
| 2 | H_3BO_3 | 48,1 | 0,60 | 116,1 | 109,0 |
| 3 | $MnSO_4$ | 47,6 | 0,55 | 14,9 | 100,0 |
| 4 | $ZnSO_4$ | 47,8 | 0,57 | 115,4 | 103,6 |
| 5 | $CuSO_4$ | 44,8 | 0,57 | 108,2 | 103,6 |
| 6 | $CoSO_4$ | 49,2 | 0,59 | 118,8 | 107,2 |
| 7 | $FeSO_4$ | 50,0 | 0,61 | 121,0 | 110,9 |
| 8 | $MnSO_4 + ZnSO_4$ | 48,6 | 0,59 | 117,3 | 107,2 |
| 9 | $ZnSO_4 + CoSO_4$ | 49,8 | 0,59 | 120,2 | 107,2 |
| 10 | $MnSO_4 + ZnSO_4 + H_3BO_3$ | 46,1 | 0,59 | 111,3 | 107,2 |
| 11 | $MnSO_4 + ZnSO_4 + H_3BO_3 + CuSO_4$ | 45,9 | 0,59 | 110,8 | 107,2 |
| სტანდარტული მიკროელემენტები დონე: $P_{5\%} = 7,14$ | | | $P_{5\%} = 0,04$ | | |
| | | | $P_{5\%} = 3,88$ | | |

4 წლის მონაცემების მიხედვით მიკროელემენტების სსნარში თებულის თესვისწინა დამუშავებამ თესლნერების ფესვგარეშე გამოკვებასთან ერთად ვარანტების მიხედვით ნაზარდი 8,2—21 % გაზარდა.

ყველაზე მაღალი ეფექტი მიღებულია ორი მიკროელემენტის კომბინაციაში ($Zn+Co$; $Zn+Mn$) და ცალკე მიკროელემენტების (Fe , B , Mn . Zn)-ის ვარიანტებში.

აღსანიშნავია, რომ სპილენძის, რკინის და მანგანუმის ვარიანტებში მცენარეები ფოთლების ხასხასა, ინტენსიური მწვანე შეფერვით გამოირჩეოდნენ, ხოლო ბორის ვარიანტში და სამი და ოთხი მიკროელემენტის კომბინაციაში, სადაც აგრეთვე ბორი მონაწილეობდა, მცენარეებს მოვითალო ელფერი გადაკრადათ და მათზე ფოთლების უფრო ადრე ჩამოცვენაც აღინიშნებოდა, რაც, კითხობთ, ამ ვარიანტებში ფოთლების უფრო ადრე მომწიფებით უნდა აიხსნას. ბორი, როგორც ცნობილია, აჩქარებს მცენარის ან მისი ცალკე ორგანოების განვითარებას და მომწიფებას.

ზოგიერთმა მიკროელემენტმა დაღებითად იმოქმედა ფესვთა სისტემის განვითარებაზე, რაც განსაკუთრებით ოთხი ($Mn+Zn+B+Cu$) და სამი ($Mn+Zn+B$) მიკროელემენტის კომბინაციაში და რკინის ვარიანტში აღინიშნებოდა.

ჩვენ მიერ, მთელი ვეგეტაციის განმავლობაში წარმოებდა დაკვირვება და აღრიცხვა აღმონაცენების და თესლნერგების დაავადებაზე,

ცხრილში მოყვანილი დაავადების პროცენტი ძირითადად მიმდინარებოდა (Bacterium mori Boyer et Lambert) დაავადებას შეეხება, თუმც აღმონაცენებზე მცირე რაოდებობით აღინიშნებოდა სოკო—Fusarium Sp, Alternaria tenuis Nees; Cladosporiu mherbarum (Pers)., Monosporium Sp; Rhizophorus nigricans Ehbg, Penicillium Sp.

როგორც ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, დაავადების პროცენტი ზოგიერთ საცდელ ვარიანტში საკონტროლოსთან შედარებით საგრძნობლად შემცირდა.

ყველაზე მაღალი გამძლეობით გამოირჩეოდა მცენარეები, რომლებიც დაშუშავებული იყვნენ ოთხი ($Mn + Zn + B + Cu$) და ორი მიკროელემენტის ($Zn + Co$) კომბინაციებით.

მიკროელემენტების მოქმედების შედეგად თესლის აღმოცენების საგრძნობი გაზრდა და მცენარეების საერთო მდგომარეობის გაუმჯობესება გამოწვეული უნდა იყოს ფერმენტატული აქტივობის და ბიოქიმიური პროცესების გაძლიერებით.

დასკვნა

1. თუთის თესლის თესვისწინა დამუშავება მიკროელემენტების, ხსნარში (როგორც ცალკე, ასევე კომბინაციებში) მნიშვნელოვნად აძლიერებს თესლის გალივების ენერგიას და აღიდებს აღმოცენების უნარს. ყველაზე დიდი ეფექტი მიღებულია ბორის ვარიანტში და სამი და ოთხი მიკროელემენტის კომბინაციებში. უფრო ეფექტურია თუთის თესლის ერთდროული დამუშავება მაკრო- და მიკროელემენტების (NPK) ხსნარში. მიკროელემენტების ხსნარში დამუშავებული თუთის თესლის აღმოცენების უნარი 2,5 თვის განმავლობაში არ ეცემა, რაც თესლის დათესვამდე, ადრე დამუშავების საშუალებას იძლევა.

2. საველე პირობებში მიკროელემენტების ხსნარში თუთის თესლის თესვისწინა დამუშავება, დამატებით თესლნერგების ფესვგარეშე გამოკვებისას იწვევს თესლნერგების სიმაღლის ($8,2 - 21\%$ -მდე) მატებას. ყველაზე კარგი შედეგი მიღებულია ცალკე რკინის, ბორის, თუთის გამოყენებით და ორი მიკროელემენტის ($Zn + Co$; $Zn + Mn$) კომბინაციებში.

3. მიკროელემენტები მნიშვნელოვნად ზრდიან თუთის აღმონაცენების და თესლნერგების გამძლეობას დაავადებათა მიმართ. გამძლეობის გაზრდა ყველაზე მეტად ორი ($Zn + Co$) და ოთხი ($Mn + Zn + B + Cu$) მიკროელემენტების კომბინაციებში აღინიშნება.

4. მაკრო- და მიკროელემენტების ხსნარში თუთის თესლის თესვისწინა დამუშავება ეფექტური მეთოდია თესლის გალივების ენერგიის გაძლიერების, აღმოცენების უნარის გადილების და სიცოცხლისუნარიან, გამძლე, სარგავი მასალის აღზრდისათვის.

ლიტერატურა—Литература

1. Е. А. Гребенчук. Влияние микроэлементов на повышение устойчивости ячменя к гельминтоспориозу. Реф. Жри. 1963, 15-55-394.





შოთარის დიოტელი დოკომენტის ორგანიზაცია

საქართველოს საცოლო-სახურის ინსტიტუტის გროვები, ტ. 106, 1978

ТРУДЫ ГРУЗИНСКОГО ОРДЕНА ТРУДОВОГО КРАСНОГО ЗНАМЕНИ
СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ИНСТИТУТА, т. 106, 1978

УДК 634 .38 : 631 .527 .5

ბ. საკანკალიძე

თავისი ფოჩას *Morus Multicaulis (P.) planifolia serung*
საკიბრისისადმი კომპონენტის გამოყენების შესახებ

მეაბრეშუმენტის უმთავრეს ქვეყნებში თუთის სარგავი მასალის გამოზრდას ძირითადად გადაწყვენით და კალმის დაფუძვიანებით აწარმოებენ; მეაბრეშუმენტის საკვები ნარგალის სწრაფად აღდგენისათვის საკუთარფესვიანი ნერგების გამოზრდას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. თუთის კალმის დაფუძვიანებით გამრავლება ორჯერ და მეტად ამცირებს სარგავი მასალის გამოზრდის გადას. ამასთან მნიშვნელოვან მცირდება პროდუქციის თვითონირებულება. ამ წესით სარგავი მასალის მასობრივად გამოზრდის დანერგვას ხელს უშლის ის გარემოება, რომ მცენარის დაფუძვიანების უნარისა და ძნელად დაფუძვიანების მნიშვი დღემდე ამოუსქნელია.

6. ლიუბინსკი [4] მიუთითებს, რომ დაფუძვიანებას საფუძვლად უდევს მცენარეთათვის დამახასიათებელი გვერდითი შერისტემების უწყვეტი. ქტიური ემბრიონალური ზრდა, რომელიც განსაკუთრებით დამახასიათებელია აღვილავ მფესვიანებელი მცენარეებისათვის. მათ შერისტემებს ყოველთვის შეიძრო დამკაიდებულება აქვთ მუდმივ ქსოვილებთან, რის გამოც ქრექში ნორმალურად ივითარებენ ფესვის ჩანასახებს.

6. ანელი [1] კი აღნიშნავს, რომ „ძნელი დაფუძვიანების თვითონირებულების დასაძლევად საჭიროა უპირველეს ყოვლისა სერიოზულად გავერკვეთ ადვილი დაფუძვიანების მოვლენაში და იმავე ღროს მხედველობაში შეიიღოთ მცენარეთა შინაგანი სტრუქტურის ფილოგენეზი“.

თუთის კალმის დაფუძვიანებით გამრავლების საკითხის შესწავლის პირველეტაპზე თუთის კალმის საკმაო რაოდენობით დაფუძვიანება ჩვენ მიერ შიღწეული იქნა ნიადაგში დიფერენცირებული ტემპერატურის დამყარებით [3].

სელოვნურად გამობარი გრუნტის გამოყენებით შესაძლებელი გახდა თუთის კალმის დაფუძვიანების გაზრდა, მაგრამ, როგორც გაირკვა, თუთის ჯიშები ამ შემთხვევაშიც განსინვაცებულ მიღრეკილებას ამჟღავნებენ კალმის დაფუძვიანებისალმი. ამასთან თერმული მოედნის მოწყობა ტემპიკურად რიგ სიძნელეებთანა დაკავშირებული, რის გამოც მისი ფართოდ დანერგვა წარმოების პირობებში ჰქიანურდება.

კალმის დაფესვიანების ათვისების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს ფერვის განვითარების შთამომაფლური უნარის გაძლიერებას, ე. ი. ამა თუ იმ ჯიშის აფორმის ადვილადმცესვიანებელ კლონების შექმნას. ცხადია ალექსანდრე უსულის ნებელი ჭიშების შერჩევა შექმნის ჭიშიანი თუთის ღეროს კალმით გამოიკვლეას საკითხის გადაწყვეტის და ამ წესის პრაქტიკულად ფართო მასშტაბით გამოყენების რეალურ საფუძველს [2].


საკუთარფესვიანი თუთის გამრავლებისადმი მიმართული სამუშაოების მომდევნო ეტაპზე, მიზნად დავისახეთ მივიღოთ თუთის ზოგიერთი ჭიშის დაფესვიანებისადმი მიდრეკილების მქონე მცენარეები, რისთვისაც ჩვენ ორი გზა ავირჩიოთ:

1. ახალგაზრდა, საკუთარფესვიანი მცენარის თაობიდან თაობაში კალმის განმეორებითი დაფესვიანება (კლონური გამორჩევა).

2. თუთის ადვილადმცესვიანებელი ფორმის გამოყენება შესაჯვარებელ წყვილად (ჰიბრიდიზაცია).

წინა წლებში ჩატარებული ცდებით გამოირკვა, რომ კალმის დაფესვიანების მაღალ უნარს ამჟღავნებს თუთის სახეობის *Morus Multicaulis* ერთერთი ფორმა *Morus Multicaulis (P) planifolia serung* (ფილიპინზე).

როგორც ცხრილიდან ჩანს, თუთის ფორმა ფილიპინის ნაზამთრი და მწვანე კალამი მაღალი დაფესვიანების უნარს ამჟღავნებს ყოველგვარ პირობებში; გა-



სურ. 1.

რდა ამისა საყურადღებოა, რომ მისი კალამი ფესვიანდება 15—20 დღეში, ნაცვლად 40—80 დღისა. აღსანიშნავია, რომ ამ ფორმის ფოთლის კალამიც კი ფეხ-

ვიანდება (ნახ. 1). ცხრილიდან ისიც ჩანს, რომ ფორმა
საშუალოდ ვითარდება 6—10 ფესვი, ნაცვლად 1—3-სა.

თუთის ფორმა ფილიპინა საფრანგეთში შემოტანილი იქნა XVII საუკუნეში კუნძულ ფილიპინიდან მოგზაურ პეროტეტის მიერ და მიიღო სახელშოდება ფილიპინა [6].

როგორც ლატერატურული წყაროებიდან ჩანს, თავის დროზე „ფილიპინა“ იმსახურებდა მკვლევართა ყურადღებას. ასე, მაგალითად, 1883 წელს ოქტომბრი ფერარას მიერ შესწავლილი იქნა ფოთლის ქიმიური შედეგენილობა და გამოიჩინა, რომ მასში ქლოროფილი არის 13,05%, ცნიმი—0,05, სხამებელი — 2,0, ცილები—11 და ა. შ. ამავე წლებში იორდანოვის მიერ შესწავლილი იქნა ფოთლში წყლის, აზოტისა და ნაცრის ელემენტების შემცველობა [5].

ქვემოთ მოგვყაფს თუთის ფორმა ფილიპინას მოკლე ბოტანიკური დახსაცავება, რაც ჩვენ მიერ აღწერილ იქნა 1976—1977 წლებში. მისთვის დამახასიათებელია ხშირი დატოტვის უნარი, დიდი რაოდენობით ივითარებს მზარდ ყლორტებს. ტოტი მოხრილი ფორმისაა, ღია მიხაკისფერი კანით. ფორმა ფილიპინას არ ახსათებს ფოთლის გარევეული მყარი ფერი. გვხვდება ძირითადად შრვანე ფერის (53,3%), ღია მწვანე (30%), მუქი მწვანე (13,3%) და მოყვითალო (3,4%) ფერის ფოთოლი.

დანაკვთის მიხედვით ფოთოლი ძირითადად მთლიანთვისტიანია (96,6%). გვხვდება სუსტად დანაკვთული ფირფიტაც, მცირე რაოდენობით (3,4%). ფირ-ფიტის უმეტესი ნაშილი კრიალაა (53,3%), ხაოიანი (33,4%) ან ძლიერ ხაოიანი (13,3%).

ფოთლის ფურქ უმეტესად გულისებრია (36,6%) ან ონავ შეზნექილი (30%). გვხვდება მომრგვალო (13,3%) და სწორი ფუძის მქონე (10,0%) ფირფატაც. მცირე რაოდენობით არის წარმოდგენილი ერთ მხარეზე სწორი და მეორე შხარეზე შეზნექილი. ფოთლის ფურქ (3,4%).

ფოთლის ფირფიტის ფორმა ძირითადად გულისებრივა (26,6%) ან განერი გულისებრი (20%). გვხვდება აყრეთვე კვერცხსებრი (16,7%), წაგრძელებული გულისებრი (16,7), მოგრძო (13,3%), მცირე რაოდენობით მომრგვალო ფორმის (6,7%).

ფოთლის ფირფიტის კენჭერო 4 სახისაა: ძირითადად სჭარბობს მავნეოლი (33,3%), წვეტიანი (30%) და წაგრძელებული (26,7%). გვხვდება მომრგვალო-კენჭეროს მქონე ფოთლის ფირფიტაც 10%-მდე.

რაც შეეხება ფოთლის ფირფიტის კიდის ფორმას, ის ძირითადად ხერხები-ლა (70%). გვხვდება დაქბილული (20%), ონანუ მომრგვალო-ხერხებილა-

(3,3), ხერხებილა ალაგ-ალაგ მცირედ დაკბილული (3,3%) და დაკბილული, მა-სტრენა მხარეზე ძლიერ ჩატრილი (3,3%).

ფორმა ფილიპინას ახასიათებს საშუალოზე მცირე ზოგადი ფილიპინა (17,1 X 12,8 სმ). ნაყოფების სიგრძე საშუალოდ 2,35 სმ-ია, ხოლო სიგანე 1,23 სმ. ნაყოფების წონა მერყეობს 0,98-დან 1,13 გ-მდე. 14 ღნისიდან 7 ივლი-სამდე ნაყოფისან თესლის გამოსავლიანობის პროცენტი თამამდევრულად მა-ტულობს და მერყეობს 2,1-დან 3,6%-მდე. ფორმა ფილიპინას თესლის ფორმა

ცხრილი

თუთის ფორმა ფილიპინას ნაზამორი და მწვანე კალმის დაცვესანების შეღვევენა

| რუსეთის ფარგვი | მარინების გები | ნაზამორი კალმი | | | | | | | მა-ტულობის დრო |
|--------------------------------------|----------------------------------|----------------------------------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|----------------|
| | | ნეოფილებრივი გრუპი | 1967—1968 | 1968—1969 | 1969—1970 | 1970—1971 | 1971—1972 | 1972—1973 | |
| ფალის ნა | მარინების გები | ნეოფილებრივი გრუპი | 1967—1968 | 1968—1969 | 1969—1970 | 1970—1971 | 1971—1972 | 1972—1973 | 1967—1968 |
| ფალის ნა | დაცუ- ლური- ების გე- ბი | ნეოფილებრი- ვის გრუ- პი | 100 | 94 | 96 | 100 | 98 | 100 | 100 |
| თუთის სავარაუდო გიშები და ფორმები | დაცუ- ლური- ების გე- ბი | დაცუ- ლური- ების გე- ბი | — | — | 10 | 12 | 10 | 13 | — |
| თუთის სავარაუდო გიშები და ფორმები | დაცუ- ლური- ების გე- ბი | დაცუ- ლური- ების გე- ბი | 22 | 23 | 42 | 60 | 65 | 34 | — |

მრავალგვარია, რომელიც ძირითადად 3 სახისაა: კვერცხისებრი (24%), სამ-კუთხისებრი (24%) და მომრგვალო (20%), შცირე რაოდენობით გვხვდება სფერული, დაუთხული (8—8%), ბრტყელგვერდანი (6%), ოვალური, პირა-მიდისმაგერი (4—4%) და იშვიათად სამკუთხედსებრი, ძლიერ წაგრძელებუ-ლი (2%) ფორმის თესლი. თესლის სიგრძე საშუალოდ 2,15 მმ-ია, ხოლო სიგანე 1,71 სმ, რომლის აღმოცენების უნარი მაღალია და 99—100%-ის ფარგლებში მერყეობს.

ამვარად, როგორც წინა წლებში ჩატარებული ცდებით გამოირკეა, რო-გორც ნაზამორი, ისე მწვანე კალმის დაცესვისნების მაღალ უნარს ამჟღავნებს თუთის ფორმა ფილიპინა, რომლის კალმი ფესვიანდება 15—20 დღეში, ნაც-ლად 40—80 დღისა და კალმეზე საშუალოდ ვრთარდება 6—10 ფესვი, ნაც-ლად 1—3-ისა. ფოთლის რაოდენობისა და ხარისხის დაბალი სამეურნეო მაჩვენებ-ლების მიუხედავთ, კალმის ადგილად დაცესვიანების უნარის გამო, ფორმა ფილიპინა, გამოყენებული უნდა იქნეს სასელექციო მუშაობაში საპიბრიდიშაცა-კომპონენტად, თუთის აღვილადმფესვიანებელი კლონების მისაღებად.



1. Н. А. Аиели. Типы окоренения и ризогенная мозаика. Труды ботан. сада. 13, 58, 1975.
 2. М. И. Гребинская, А. П. Пулатов. Основные способы вегетативного размножения шелковицы. Ташкент, 1975.
 3. Г. Э. Звиададзе, Б. В. Саканделидзе. Применение дифференцированной температуры при укоренении зимовавших черенков шелковицы. ЖРн. Шелк, № 2, 1973.
 4. Н. А. Любинский. Физиология вегетативного размножения растений в свете современных данных. Рост растений. Изд. Львовского университета, 1959.
 5. Н. И. Шавров. Справочная книга русского шелководства. Часть I, Тифлис, 1896.
 6. Bonafous Mathieu Meimane sur la cuttur du murier eu Taillis et sur l'introduction d'une noucelle espiec de murier Paris. Bouchard-kusard librnoire, 1831.
-



УДК 634 . 38

გ. ზეღვინიძე

სპეციალურობის სისტემისა და მათი მუშაობის განვითარების
აროგანიზაციის უმჯობესი მეთოდის შემსრულებლივი განვითარების
სამსახურის მიერ განვითარების სამსახურის მიერ განვითარების სამსახურის მიერ

საქართველოს სსრ-ში თუთის ახალი დაავადების—წვრილფოთოლა სიხუ-
ჭუჭის ფართო გავრცელებისა და მისი დიდი მავნეობის შედეგად მკვეთრად შემ-
ცირდა მეაბრეშუმეობის საკვები ბაზა, რამაც თავის მხრივ გამოიწვია აბრეშუმის
ბაზის დამზადების გეგმის მნიშვნელოვანი შემცირება. საკვები ბაზის ასეთ
სტრუქტურულ განადგურებას ხელი შეუწყო რესპუბლიკაში ფართოდ (70%) დანერ-
გოლმა ჯიშმა გრუზიამ, რომელიც მეტად მიმღებიანი აღმოჩნდა ამ დაავადების
მიმართ. საკვები ბაზის აღდგენისათვის საჭირო იყო ჯიშ გრუზიას დაუყოვნებლივ
შეცვლა სხვა უფრო გამძლე ჯიშებით.

როგორც ცნობილია, სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაავადებათა
და მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა სისტემაში ყველაზე
ეფექტურ მეთოდად გამძლე ჯიშების გამოვლინება, გამოყვანა და მათი წარმოე-
ბაში ფართო გავრცელება წარმოადგენს. ამ მიმართულებით მეაბრეშუმეობის
საწავლო-კვლევითმა ფაკულტეტმა დღიდან დაავადების გაჩენისა, ფართო
შეშაობა გაშალა. 1965—1969 წლებში ჩატარებული კვლევის შედეგად, ქუთა-
ის მეაბრეშუმეობის ზონალური სადგურის, თუთის სხვადასხვა ჯიშისა და და-
სავლეთ საქართველოს დაავადებული ზონის, სახელმწიფო ჯიშთა გამოცდის
ნკვეთებიდან მ. კაკულიასა და სხვ. მიერ გამოვლენილი იქნა წვრილფოთოლა სი-
სუჟუჭისადმი შედარებით გამძლე ჯიშები (ოშიმა, იაპონური, თბილისური, ივე-
რია, ქუთათური, მცხეთური, გრუზნიშ-4, გრუზნიშ-5, ჰიბრიდი-2) და რეკო-
მნდებულია წარმოებაში დასანერგად.

უნდა აღინიშვნოს, რომ რეკომენდებული ჯიშების გამოვლინება წარმოებ-
და არაიდენტურ (ნიადაგის, აგროტექნიკის და სხვ.) პირობებში, ძირითადად და-
ყალბების მაჩვენებლის მიხედვით. საჭირო იყო სტაციონარულ ცდებში, სრუ-
ლიად იდენტურ პირობებში დაავადების მაჩვენებელთან ერთად შესწავლილ-
ყო მათი პროდუქტიულობა და ფოთლის ხარისხი. ეს საშუალებას მოვცემდა
გამოვლენია მათგან საუკეთესოები, წარმოებაში ფართო გავრცელებისათვის.

წინამდებარე ნაშრომში ვიძლევით წვრილფოთოლა სიხუჭუჭისადმი თუთის
შედარებით გამძლე ჯიშების (თბილისური, ოშიმა, იაპონური, ქუთათური, ივერია,

მცხეთური, გრუზნიშვილი-4 და პიბრიძი-2) პროდუქტიულობის შესწავლის შედევრებს.

როგორც ცნობილია, ჭიშის პროდუქტიულობა განისაზღვრული იყო მოსავლით 1 ჰა პლანტაციიზან, რომელიც თავისთვის დამოკიდებულია ფოთლის მოსავალზე 1 ჰა პლანტაციიდან და მის კვებით ღირსებაზე.

აღნიშნული საკითხის შესწავლის მიზნით, 1974—1975 წლებში ქუთაისის მედრეშუმეობის ზონალური საცდელი სადგურის ექსპერიმენტულ ბაზაში, სადაც გაშენებული იყო საცდელი პლანტაცია, ჩავატარეთ თუთის აბრეშუმხვევის საკვებსაცდელი გამოკვება, მიღებული მეთოდიკის მიხედვით (ა. კაფუანი, 1964). ცდისაოვის ავიდეთ ნიშანდებული ჭიშის ჯედალი ჭიები. გამოკვება ჩატარდა 8 ვარიანტად, ვარიანტი—6 განმეორებად, განმეორებაში—50 ჭია; თითოეული ვარიანტის ჭიებს საკვებად ეძლეოდათ სათანადო ჭიშის ფოთოლი წონით, კოლოუნები 1000 კგ-ის ანგარიშით.

გამოკვებისას შევისწავლეთ ჭიის ბიოლოგიური და პარკის ტექნოლოგიური მაჩვენებლები, ზემოხამოთვლილი თუთის ჭიშების პროდუქტიულობა და მათი კვებითი ღირსება.

თუთის აბრეშუმხვევის ბიოლოგიური მაჩვენებლები (ორი წლის საშუალო) მოცემულია 1-ელ ცხრილში.

როგორც ცხრილში მოთავსებული მასალიდან ჩანს, ჭიის ცხოველმყოფელობის ყველაზე მაღალი მაჩვენებლით გამოიჩინება იმ ვარიანტის ჭიები, რომ-

ცხრილი 1
თუთის აბრეშუმხვევის ბიოლოგიური მაჩვენებლები (ორი წლის საშუალო)

| თუთის ჭიშები | ნოვები | ცდები | მარკა | ნედლი | პარკის | მოსავალი, გ |
|--------------|---------|-------|-------|----------|--------|-------------|
| | ასებული | მარკა | მარკა | 100 ჭიშ. | მიც. | 1 კგ. |
| აბრისური | 87,9 | 1,70 | 59,1 | 149,1 | 66,1 | 111,8 |
| თბილი | 78,7 | 1,64 | 54,1 | 129,1 | 57,1 | 105,6 |
| იაპონური | 84,0 | 1,64 | 59,6 | 137,8 | 61,0 | 102,3 |
| ქუთარური | 77,2 | 1,50 | 50,6 | 115,8 | 51,2 | 101,2 |
| ივერია | 83,6 | 1,58 | 54,1 | 132,1 | 58,4 | 108,0 |
| მცხეთური | 76,4 | 1,74 | 62,6 | 132,9 | 58,4 | 94,2 |
| გრუზნიან-4 | 86,6 | 1,72 | 62,4 | 145,0 | 65,9 | 105,3 |
| პიბრიძი-2 | 87,0 | 1,76 | 64,4 | 153,1 | 67,6 | 105,2 |

ლებიც იკვებებოდნენ თბილისურის (87,9%), პიბრიძ-2-ისა (87%) და გრუზნიან-4-ის (86,6%) ჭიშის ფოთლით.

გამოცდილი თუთის ჭიშებიდან მაღალი შეჭმადობით გამოიჩინებან პიბრიძ-2-ის (64,4%), მცხეთურის (62,6%) და გრუზნიან-4-ის (62,4%) ჭიშის ფოთლები და სწორედ ამ ფოთლებით გამოკვებილ ვარიანტებში არის მიღებული.

ღ ღ ნედლი პარკის უფრო მაღალი საშუალო წონაც (პიბრიდი-2—1,76 გ, მცხვ-
თური—1,74 გ და გრუზნიშ-4—1,72 გ).

ნედლის პარკის მოსავლიანობით ორგორც 100 ჭიაზე, ისე 1 კგ მცხვ-
თური 1 კგ შემცულ ფოთოლზე, კარგი შედეგები მოგვცა იმ ჭიებმა, რომელიც
უკეთებობის პიბრიდ-2-ის (153,1 გ—67,6 გ—105,2 გ) თბილისურის (149,4
გ—66,1 გ—111,8 გ) და გრუზნიშ-4-ის (149,0 გ—65,9 გ—105,3 გ) ჯიშის
უოთლებით.

ჭიის ბიოლოგიური მაჩვენებლები დაპალი აქვს იმ ჭიებს, რომელიც იკვე-
ბებოდნენ ქუთათურის ჯიშის ფოთლებით (ჭიის ცხოველმყოფელობა 77,2; პარ-
კის საშუალო წონა—1,50 გ და სხვ.), ჭიის ცხოველმყოფელობის პროცენტი კა-
სხვე დაბალი აქვს მცხეობლის ჯიშის უოთლივ ნაკვებ ჭიებს (76,4%).

მე-2 ცხრილში მოცემულია გამოკვების შედეგად მიღებული პარკის ტექნ-
ლოგიური მაჩვენებლები.

აღნიშნული ცხრილის მონაცემების მიხედვით ხმელი პარკის პიბრიდუმიანო-
ბის შედარებით მაღალი პროცენტით ხასიათდება იმ ვარიანტის პარკები, რომ-
ე—66,1 გ—111,8 გ) და გრუზნიშ-4-ის (149,0 გ—65,9 გ—105,3 გ) ჯიშის
უოთლივ ნაკვები ჭიების მიერ.

ცხრილი 2:

ხმელი პარკის ტექნოლოგიური მაჩვენებლები (ორი წლის საშუალო)

| ვარიანტები | პიბრიდუმიანო- ბის % | მაღალი გამოსა- ვლიანობის % | მოხვევითი უნიტარობის % |
|------------|------------------------|-------------------------------|---------------------------|
| თბილისური | 44,03 | 36,18 | 81,05 |
| ოშიმი | 44,00 | 36,36 | 82,62 |
| იაპონური | 44,86 | 36,75 | 81,93 |
| ქუთათური | 45,89 | 37,97 | 82,78 |
| უფრისი | 43,84 | 35,53 | 81,04 |
| ნეტებური | 42,78 | 34,15 | 79,82 |
| გრუზნიშ-4 | 45,97 | 38,11 | 82,00 |
| პიბრიდი-2 | 44,17 | 35,53 | 80,45 |

ასევე მაღალია ძირითადი ტექნოლოგიური მაჩვენებელი—ხამი ძაფის გამო-
სავლიანობის პროცენტი პრავე ვარიანტებში (გრუზნიშ-4—38,11% და ქუთა-
თური — 37,99%).

რაც შეეხება პარკის ამოხვევით უნარს, რომელიც მნიშვნელოვანი ხარის-
ხობრივი მაჩვენებელია და განაპირობებს ხამი ძაფის გამოსავლიანობას, მაღა-
ლი აქვს იმ პარკის ნიმუშებს, რომელიც ახვეულია გრუზნიშ-4-ის (82,90%),
ქუთათურის (82,78%), ოშიმას (82,62%) და იაპონურის (81,93% ჯიშის ფოთ-
ლით ნაკვები ჭიების მიერ.

მე-3 ცხრილში მოცემულია გამოსაცდელი თუთის ჯიშების ფოთლის მოსა-
ვლი და მათი პროდუქტიულობა.

როგორც მე-3 ცხრილიდან ჩამს, გამოცდილი თუთის ჭიშებრდან შედგრებით მაღალმოსავლიანობით გამოირჩევიან ჭიშები: ოშიმა (29,0 კგ/ჰა) და გრუზნიიშ-4 (28,0 კგ/ჰა) და გრუზნიიშ-4 (25,8 კგ/ჰა), ხოლო მცირემოსავლიანობით გამოირჩევიან ჭიშები: ოშიმა (8,0 კგ/ჰა).

1 ჰა პლანტაციაზე გადაანგარიშებით ნედლი პარკისა და ხამი ძაფის მეტი მოსავალია მიღებული იმ ვარიანტებში, სადაც ჭიშები იკვებებოდნენ გრუზნიიშ-4-ის (170,0 კგ—26,9 კგ), იაპონურის (170,8 კგ—26,0 კგ) და ოშიმას (165,5 კგ—25,0 კგ) ჭიშის ფოთლებით, ხოლო ყველაზე ნაკლებპროდუქტიული აღმოჩნდა ქუთათურის (41,0 კგ—6,4 კგ) და ივერიას (113,9 კგ—16,8 კგ) ჭიშები.

ამგვარად, მიღებული მაჩვენებლების საფუძველზე, წარმოებაში რეკომენდებული ჭიშებიდან ფართო გავრცელება უნდა მიეცეს თუთის შედარებით გამძლე შემდეგ ჭიშებს: გრუზნიიშ-4-ის, იაპონურსა და ოშიმას.

ცხრილი 3

ფოთლის, ნედლი პარკისა და ხამი ძაფის მოსავალი 1 ჰა პლანტაციაზე გადაანგარიშებით
(ორი წლის საშუალო მაჩვენებლები)

| ვარიანტები | მოსავალი 1 ჰა პლანტაციაზე | | |
|------------|---------------------------|------------------|----------------|
| | ფოთლის, კ | ნედლი პარკის, კბ | ხამი ძაფის, კბ |
| თბილისური | | | |
| ოშიმა | 19,6 | 128,2 | 19,2 |
| იაპონური | 29,0 | 165,6 | 25,0 |
| ქუთათური | 28,0 | 170,8 | 26,0 |
| ივერია | 8,2 | 41,0 | 6,4 |
| მცენტური | 19,5 | 113,9 | 16,8 |
| გრუზნიიშ-4 | 23,2 | 135,2 | 19,2 |
| ჭიბოლი-2 | 25,8 | 170,0 | 25,9 |
| | 20,8 | 140,8 | 19,8 |

დასკვნა

1. მაღალი ცხოველმყოფელობით გამოირჩევიან ის ჭიები, რომლებიც იკვებებოდნენ თბილისურის, ჭიბოლი-2-ის და გრუზნიიშ-4-ის ჭიშის ფოთლებით.

მაღალი შესტრიქონით ხშირად ჭიბოლი-2-ის, მცენტურისა და გრუზნიიშ-4-ის ჭიშის ფოთლები.

ნედლი პარკის უფრო მაღალი წონაც მიღებულია ამავე ჭიშების ფოთლით გამოკვებილ ვარიანტებში.

2. ხმელი პარკის აბრეშუმიანობისა და ხამი ძაფის გამოსავლიანობის ყველაზე მაღალი პროცენტით ხსიათდება ის პარკები, რომლებიც გრუზნიიშ-4-ის და ქუთათურის ჭიშის ფოთლებით ნაკვები ჭიებიდან არის ახვეული.

3. გამოცდილი თუთის ჭიშებიდან შედარებით მაღალმოსავლიანობით და მაღალპროდუქტიული თუთის ჭიშებიდან გამოირჩა ჭიშები: ოშიმა, გრუზნიიშ-4 და იაპონური.

4. წარმოებაში რეკომენდებული ჭიშებიდან ფართო გავრცელება უნდა მიეცეს ჭიშებს: ოშიმას, გრუზნიიშ-4-სა და იაპონურს.



შრომის წილი დროის ორგანიზაცია

საქართველოს სასოფლო-სამურნეო ინსტიტუტის ჟრომში, ტ. 106, 1978 კართველური
